

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №15

02 ივნისი, 2017 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა:

თ.ყვინციშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

რ.ბადაკაშვილი, ზ.გარსევანიძე, ნ.აბალოძე
გ.ქიტესაშვილი, ი.უჯირაული, თ.ბოდაველი
მ.ალხანაშვილი, ბ.ჭიჭკლიშვილი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყვინციშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს
გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი
სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის
5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების
შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გააცნო ბიუროს წევრებს დღის წესრიგში მე-3 საკითხის დამატების შესახებ, რომელიც ეხება საკრებულოს თავმჯდომარის გერმანიაში მივლინებას. გააცნო ვიზიტის მიზანი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) „ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „გენდერული თანასწორობის საკითხები მუნიციპალურ დონეზე“. „GIZ“-ი დააფინანსებს მგზავრობას, სასტუმრო ხარჯებს და კვებას.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის ცვლილებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს პროექტის შესახებ: აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე განსახორციელებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობით. პროექტის მიზანია 2017 წლის 1 ივლისისთვის კანონთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საშტატო ნუსხა.

2017 წლის 1 ივლისამდე საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კანონის მიზნების განსხორციელებლად უზრუნველყონ თანამდებობათა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში, ხოლო შრომითი ხელშეკრულებითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულთა შესაბამის პოზიციებში განაწილება.

დამხმარე ან არამუდმივ ამოცანათა შემსრულებელთა შტატები უნდა ამოღებულ იქნას საშტატო ნუსხიდან და მათთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულებით აყვანილ შტატგარეშე პოზიციებიდან, დასაქმებულთა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით მოხდება საშტატო ნუსხაში შეყვანა.

კანონის შესაბამისად მოხდება რანგირება. გვაქვს 4 იერარქიული რანგი. მოხელის თითოეული თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს და ნაწილდება შემდეგ იერარქიულ რანგებში:

- ა) პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე, - სამსახურის უფროსი, აპარატის უფროსი;
- ბ) მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე, - განყოფილების უფროსი;
- გ) მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე, - მთავარი სპეციალისტი;

დ) მეოთხე რანგი – უმცროსი სპეციალისტის დონე, - სპეციალისტები;

პირველი რანგი არის ყველაზე მაღალი იერარქიული რანგი, ხოლო მეოთხე რანგი – ყველაზე დაბალი იერარქიული რანგი.

იერარქიულ რანგებში მოხელეთა თანამდებობები ნაწილდება თითოეული თანამდებობის ფუნქციების შესაბამისი შემდეგი ფაქტორების მიხედვით: პასუხისმგებლობა; მოვალეობათა შესრულების სირთულე; კომპეტენციები; აუცილებელი კვალიფიკაცია; სამუშაო გამოცდილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს. აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილება გამოწვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის მიღებით. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან. საჭიროა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები. საკრებულოს აპარატის 9 საჯარო მოხელიდან 2 არის დამხმარე მოსამსახურე, რომლებთანაც 1 ივლისიდან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე შტატში დარჩება 7 საჯარო მოხელე. აპარატის უფროსი, 5 მთავარი სპეციალისტი და 1 წამყვანი სპეციალისტი. აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა ბიუროს დამსწრე წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11⁴⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი